



ზოგადი უნარების ტესტი

2014

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან.

თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი საგარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეული დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ პასუხების ფურცელზე). ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტი დროით შეყოვნდებით ტესტის ამა თუ იმ ნაწილზე, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისთვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას !

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შევუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

1. აიგივებს : იდენტიფიცირებული

აღადგენს :

- (ა) ადეკვატური
- (ბ) გამეორებული
- (გ) ანტიკვარული
- (დ) მიმსგავსებული
- (ე) რესტავრირებული

2. ჩაანაცვლა : კასკადიორი

უკარნახა :

- (ა) რეჟისორი
- (ბ) დუბლიორი
- (გ) სუფლიორი
- (დ) პარტნიორი
- (ე) დეკორატორი

3. ზამბარა : სპირალი

დედამიწა :

- (ა) ღერძი
- (ბ) სფერო
- (გ) განედი
- (დ) პოლუსი
- (ე) ეკვატორი

4. წისქვილი : პური

ტელესკოპი :

- (ა) ცის რუკა
- (ბ) გალაქტიკა
- (გ) ობსერვატორია
- (დ) თანავარსკვლავედი
- (ე) მეტეორიტების წვიმა

5. ავანგარდული ხელოვნება : კლასიკური

მისტიკა :

- (ა) მაგიური
- (ბ) მითოსური
- (გ) რიტუალური
- (დ) რეალისტური
- (ე) ტრადიციული

6. გაცურავს : ისრიალებს

გამოძვრწავს :

- (ა) ფორმას მისცემს
- (ბ) თიხას მოზელს
- (გ) მიახმავსებს
- (დ) შეღებავს
- (ე) დახატავს

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამოიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

7. ერთი ცნობილი მწერლის დამოკიდებულება ხელოვნების მიმართ კარგად ჩანს მის შემდეგ მოსაზრებაში: „ზოგჯერ ამბობენ, რომ ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები ----- გაუგებარია ადამიანთა ----- ნაწილისათვის. ჩემი აზრით კი, ეს ისეთივე აბსურდია, როგორც იმის თქმა, რომ ესა თუ ის საკვები ძალიან ----- ადამიანთა ----- “.“

- (ა) ძალიან კარგია, მაგრამ / უდიდესი / სასარგებლოა, მაგრამ / აბსოლუტურ უმრავლესობას ვნებს
- (ბ) სრულიად ბანალურია და, ამიტომ, / გარკვეული / უგემურია, მაგრამ მხოლოდ / უმცირესობას ვნებს
- (გ) ძალიან დახვეწილია და, ამიტომ, / დიდი / სპეციფიკურია და, ამიტომ, მხოლოდ / უმცირესობას მოსწონს
- (დ) სრულიად ბანალურია, მაგრამ / მხოლოდ მცირე / გემრიელია და, ამიტომ, / უმრავლესობას მოსწონს

8. ადამიანებს შორის შრომის განაწილებამ ყოველგვარ წარმოებას, ხელობასა თუ ხელოსნობას მოუტანა სარგებლობა: როდესაც ერთი ადამიანი ----- , არამედ თითოეული ადამიანი ----- , თავისი შესრულების წესით შესამჩნევად რომ ----- , ყოველი საქმე უფრო ----- სრულდება.

- (ა) არა მხოლოდ ერთი ტიპის საქმეს აკეთებს / შემოიფარგლება გარკვეული ამოცანით / განსხვავდება სხვა ამოცანებისაგან / ძნელად
- (ბ) კი აღარ აკეთებს ყველაფერს / შემოიფარგლება გარკვეული ამოცანით / განსხვავდება სხვა ამოცანებისაგან / ეფექტურად
- (გ) არა მხოლოდ მრავალ სხვადასხვა ამოცანას ეჭიდება / ცდილობს, ისეთი საქმეები აკეთოს / არ განსხვავდება ერთმანეთისაგან / ძნელად
- (დ) მხოლოდ ერთ ამოცანას კი არ ასრულებს / დაკავებულია მრავალი სხვადასხვა საქმით / არ განსხვავდება ერთმანეთისაგან / ეფექტურად

9. ცხოველთა სამყაროს ზოგიერთ წარმომადგენელს ----- უნარი. ცნობილი ფსიქოლოგი ვ. კელერი ექსპერიმენტული გზით მივიდა დასკვნამდე, რომ მაიმუნის ერთ ჯიშს, შიმპანზეს, ახასიათებს ----- . აქედან ----- იმ დასკვნის გამოტანა, რომ მაიმუნი იმგვარადვე ----- , როგორც ადამიანი. თუმცა, ის კი ცხადია, რომ მაიმუნში ადამიანური აზროვნების ჩანასახი ექსპერიმენტულად ----- .

- (ა) შეუძლებელია, ჰქონდეს აზროვნების რაიმე / გონივრული ქცევა, მაგრამ არა იმავე რიგის, როგორც ადამიანს / არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება / არ აზროვნებს / უკვე დასტურდება
- (ბ) შესაძლოა, ჰქონდეს აზროვნების გარკვეული / გონივრული ქცევა, მაგრამ არა იმავე რიგის, როგორც ადამიანს / სავსებით შესაძლებელია / აზროვნებს / მაინც არ დასტურდება
- (გ) შეუძლებელია, არ ჰქონდეს აზროვნების რაიმე / გონივრული ქცევა იმავე რიგისა, როგორც ადამიანს / სავსებით შესაძლებელია / ვერ აზროვნებს / მაინც ვერ დასტურდება
- (დ) შესაძლოა, ჰქონდეს აზროვნების გარკვეული / იმავე რიგის გონივრული ქცევა, როგორც ადამიანს / არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება / აზროვნებს / უკვე დასტურდება

10. მეცნიერთა შესწავლის საგანია ----- ფაქტების ორი რიგი: ფაქტები, რომლებიც ----- , როგორებიც ----- , და ფაქტები, რომლებიც ----- , ანუ ფაქტები, როგორც ნორმალური და როგორც პათოლოგიური მოვლენები.

- (ა) ერთმანეთის მსგავსი / არ არიან ისეთნი / უნდა იყვნენ / უნდა ყოფილიყვნენ ზუსტად ისეთნი, როგორებიც არიან
- (ბ) ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული / არიან ზუსტად ისეთნი / არ უნდა იყვნენ / არიან იმის მსგავსნი, როგორებიც არ უნდა ყოფილიყვნენ
- (გ) ერთმანეთის მსგავსი / არ არიან იმისგან განსხვავებულნი / უნდა ყოფილიყვნენ / არ არიან ისეთნი, როგორებიც უნდა იყვნენ
- (დ) ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული / არიან ზუსტად ისეთნი / უნდა იყვნენ / უნდა ყოფილიყვნენ არა ისეთნი, როგორებიც არიან

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

11. წინადადებათა ქვემოთ მოცემული წყვილებიდან რომელი შედგება ერთი და იმავე შინაარსის მქონე წინადადებებისგან?

- (ა) ყოველთვის გვახსოვდეს, რომ მაღლიერებაზე მეტად არაფერი ამშვენებს ადამიანს. ნურასოდეს დაგვავიწყდება, რომ უმაღურებაზე უარესი არაფერია.
- (ბ) არც ერთი არგენტინელი ფეხბურთელი არ არის მარადონაზე უკეთესი. მარადონაზე უკეთესი ფეხბურთელი არ არსებობს.
- (გ) სარეცხი მანქანა არ მუშაობს, თუკი მას წყალი არ მიეწოდება. თუკი სარეცხი მანქანა მუშაობს, მას წყალი მიეწოდება.
- (დ) უკეთესია, თუ საქმე დროზე გაკეთდება და არა – დაგვიანებით. უკეთესია, საქმე გვიან მაინც გაკეთდეს, ვიდრე არასოდეს.
- (ე) არ არის მართალი, რომ ხვალ კარგი ამინდი არ იქნება. ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ხვალ კარგი ამინდი იქნება.

12. მოცემულია:

- ჩვენს მხარეში ზოგიერთი მდინარე ძალიან სწრაფია.
- ყველა სწრაფ მდინარეში, რომელიც ჩვენს მხარეში ჩამოედინება, წყალი ძალიან ცივია.
- ჩვენს მხარეში ყველა მდინარის პირას ხარობს მაყვალი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან?

- (ა) ყველა ძალიან სწრაფი მდინარის პირას ხარობს მაყვალი.
- (ბ) ჩვენს მხარეში ზოგიერთი მდინარე სწრაფი არ არის.
- (გ) ჩვენს მხარეში ზოგიერთი მდინარის წყალი არ არის ძალიან ცივი.
- (დ) ზოგიერთ მდინარეში, რომლის პირასაც მაყვალი ხარობს, წყალი ძალიან ცივია.
- (ე) ყველა ძალიან სწრაფი მდინარე, რომელშიც წყალი ძალიან ცივია, ჩვენს მხარეში ჩამოედინება.

13. ბოლო ათწლეულების განმავლობაში დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ჰუმანიტარული დარგების სტუდენტთა რაოდენობა. ზოგიერთმა მკვლევარმა ეს ტენდენცია იმით ახსნა, რომ ბოლო ათწლეულებში, პროფესიულ შრომაში ქალთა ჩართულობის ზრდასთან ერთად, ქალ სტუდენტთა სულ უფრო დიდი წილი ირჩევს სპეციალობად არაჰუმანიტარულ დარგებს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ვითარებას შეიძლება ეფუძნებოდეს აღნიშნული ახსნა?

- (ა) ბოლო საუკუნის განმავლობაში შრომის ბაზარზე სტაბილურად მცირდება დამქირავებელთა მოთხოვნა ჰუმანიტარულ განათლებაზე.
- (ბ) ჰუმანიტარული დარგების გარდა, ბოლო ათწლეულებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა ზოგიერთ საბუნებისმეტყველო სპეციალობაზე.
- (გ) სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ჰუმანიტარული განათლების მქონე პირთა შორის ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული საკუთარი სპეციალობით.
- (დ) კვლევების შედეგად, შრომით კმაყოფილების განსაკუთრებით მაღალი დონე დაფიქსირდა ჰუმანიტარული განათლების მქონე და საკუთარი სპეციალობით დასაქმებულ პირთა შორის.
- (ე) ეკონომიკური კვლევების თანახმად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ორგანიზაციებში ძალიან მკვეთრად გაიზარდა განსხვავება ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა და რიგით თანამშრომელთა ანაზღაურებას შორის.

14. ანა და ნიკო მსჯელობენ:

ანა: ვშიშობ, ნინიკო ავად გახდა.

ნიკო: რატომ ფიქრობ ასე?

ანა: ვიცი, რომ ავად გახდა ან ძალიან ბევრი საქმე აქვს, თორემ დღეს ვარჯიშს არ გააცდენდა.

ნიკო: და რატომ ფიქრობ, რომ სწორედ ავად გახდა?

ანა: მითხრა, რომ თუ ძალიან ბევრი საქმე ექნებოდა, მაშინ გუშინ კლუბში ვერ წავიდოდა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მტკიცება უნდა დაამატოს ანამ, რათა მისი არგუმენტაცია დამაჯერებელი იყოს?

- (ა) ნინიკოს ძალიან ბევრი საქმე აქვს და გუშინ კლუბში არ წასულა.
- (ბ) ნინიკოს ძალიან ბევრი საქმე აქვს ან გუშინ კლუბში წავიდა.
- (გ) ნინიკო გუშინ კლუბში არ წასულა.
- (დ) ნინიკოს ძალიან ბევრი საქმე აქვს.
- (ე) ნინიკო გუშინ კლუბში წავიდა.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

რამდენიმე წლის წინ თბილისში ერთ ოჯახში სტუმრობისას ცნობილმა მკვლევარმა, ხელოვნებათმცოდნე დალი ლებანიძემ, ყურადღება მიაქცია პიკასოს გრაფიკულ ნამუშევარს, „დონ-კიხოტს“. როგორც მასპინძელმა აუხსნა, ეს ლითოგრაფია მას უცხოეთში მცხოვრებმა ახლობელმა აჩუქა. მკვლევარი გააკვირვა მოლურჯო-მომწვანო ტონალობამ, რომლის მსგავსი „დონ-კიხოტის“ ცნობილ ვერსიებს შორის მანამდე არ ენახა. ყველაფერი ძალიან ძველი ჩანდა: ქალაღის დამცავი არშიაც, ჩარჩოც, ჩაქანგებული ლურსმნებიც. გამადიდებელი მინით დათვალიერების შემდეგ მკვლევარს ეჭვი გაუჩნდა, რომ მის წინ ორიგინალი იყო. პიკასოს ამ ნახატს მსოფლიო კარგად იცნობს. მისი ორიგინალი დაკარგულად ითვლება.

პიკასოს „დონ-კიხოტი“ 1955 წლის 11 აგვისტოს შეიქმნა. ნამუშევარი მიეძღვნა სერვანტესის „დონ-კიხოტის“ I ტომის გამოცემის 350-ე წლისთავს. მას შემდეგ ეს გრაფიკული ნახატი ძალიან ხშირად გამოიყენება სერვანტესის წიგნის ილუსტრირებისთვის. იგი მხატვარს ფრანგული ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთისთვის შეუკვეთა ცნობილმა მწერალმა, ლუი არაგონმა, რომელიც იმ დროს ამ გაზეთის რედაქტორი გახლდათ. გაზეთის ეს ნომერი, ძირითადად, სერვანტესის შემოქმედებას დაეთმო, ბოლო, მეთორმეტე გვერდზე კი პიკასოს ნახატი დაიბეჭდა. ორიგინალის კვალი მას შემდეგ გაქრა.

მალე ეს გრაფიკული ნამუშევარი ძალიან პოპულარული გახდა. მას იყენებდნენ აფიშებსა და სხვადასხვა პოლიგრაფიულ გამოცემაში. ცხადია, გაზეთში დაბეჭდილი ნახატი შავ-თეთრი იყო, შავ-თეთრად ბეჭდავდნენ სხვაგანაც, რადგან სწორედ გაზეთიდან აღებულ ვერსიას იყენებდნენ; ორიგინალთან შედარების საშუალება არ არსებობდა და ფიქრობდნენ, რომ ის ან ტუშით, ან ტუშითა და ფუნჯით, ან ნახშირით იყო შესრულებული. ქართველი მკვლევრის აზრით კი, ორიგინალი შესრულებულია ფლომასტერით და არც შავ-თეთრია, ორი ფერის ფლომასტერით არის დახატული – ღია მომწვანო-მოლურჯო და უფრო ინტენსიური ლურჯით.

საინტერესოა, რომელი წლიდან ხატავდა პიკასო ფლომასტერით. ცნობილია, რომ ფლომასტერი 1960 წლიდან არის მასობრივ წარმოებაში. იქნებ პიკასოსთვის გაცილებით ადრე გახდა ხელმისაწვდომი ეს ახალი ტექნოლოგია? მომდევნო წლებში მას სხვა ნახატებიც აქვს შესრულებული ფლომასტერით. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, წლების წინ ვიღაცას ამავე ტექნოლოგიით შეესრულებინა „დონ კიხოტის“ ასლი?

დალი ლებანიძის აზრით, „ხაზების წყობის ამგვარი თავისუფლება პიკასოსთვის არის დამახასიათებელი. განსაზღვრულ არეში ხატვის ასეთი სპონტანური ბუნების გამეორება ან კოპირება სრულიად შეუძლებელია.“ მისი თქმით, ნახატის მხოლოდ ერთი ტონალობით გამოქვეყნება გაზეთის სპეციფიკით იყო განპირობებული. მასში ფერადი ილუსტრაციები არ იბეჭდებოდა. მკვლევარმა გააკეთა სავარაუდო ორიგინალის კომპიუტერული შავ-თეთრი ანაბეჭდი, რომელიც აბსოლუტური სიზუსტით იმეორებდა „დონ-კიხოტის“ საყოველთაოდ გავრცელებულ ვერსიას. ამასთან, თბილისში აღმოჩენილი ნამუშევრისა და ფრანგულ ლიტერატურულ გაზეთში დაბეჭდილი „დონ-კიხოტის“ ზომები ზუსტად დაემთხვა ერთმანეთს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნახატის ორიგინალურობის დადასტურებას სპეციალური კომისიის დასკვნა სჭირდება, რომელიც ჯერ არ ჩანს.

15. ტექსტის თანახმად, გრაფიკული ნამუშევარი „დონ-კიხოტი“:

- (ა) უცხოეთში აჩუქეს მის ამჟამინდელ ქართველ პატრონს; ის პიკასოს „დონ-კიხოტის“ დაკარგული ორიგინალი აღმოჩნდა.
- (ბ) თბილისში აღმოაჩინა ერთმა მკვლევარმა; ნახატს თანამედროვე ჩარჩო და ქაღალდის დამცავი არშია აქვს.
- (გ) მსოფლიოსთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა, თბილისში აღმოჩენილი ნახატი ცნობილი ვერსიისგან ტონალობით განსხვავდება.
- (დ) პიკასოს ილუსტრაციის საუკეთესო ასლი აღმოჩნდა, რაც ქართველმა მკვლევარმა დათვალიერებისთანავე განაცხადა.

16. რატომ ეგონათ, რომ პიკასოს „დონ-კიხოტი“ შესრულებული იყო ტუშით, ან ტუშითა და ფუნჯით, ან ნახშირით?

- (ა) მსჯელობდნენ გაზეთში დაბეჭდილი შავ-თეთრი ვერსიის მიხედვით, რადგან ორიგინალი არ ჰქონდათ ნანახი.
- (ბ) იმ პერიოდში ლიტერატურული გაზეთისთვის შეკვეთებს ძირითადად ამ ტექნოლოგიით ასრულებდნენ.
- (გ) პოლიგრაფიულ გამოცემებში უფრო ხშირად ტუშითა და ფუნჯით შესრულებულ ნახატებს იყენებდნენ.
- (დ) ორიგინალის ტონალობა მომწვანო-მოლურჯოა და პიკასო ხშირად ხატავდა მწვანე ან ლურჯი ტუშით.

17. მკვლევარმა დალი ლებანიძემ ივ მონტანის ბიოგრაფიულ წიგნში მოიძია ასეთი ჩანაწერი: „1951 წელს, როდესაც სიმონა სინიორე და ივ მონტანი დაქორწინდნენ, პიკასომ მათ საჩუქრად მიართვა ფლომასტერით შესრულებული ნახატი, რაც იმ დროს იშვიათობას წარმოადგენდა“.

ტექსტის გათვალისწინებით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის არგუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია?

- (ა) ფლომასტერის მასობრივი წარმოება 1960 წლიდან კი არ დაწყებულა, არამედ, როგორც ჩანს, უფრო ადრე – 1951 წლიდან.
- (ბ) 1960 წლის შემდეგ პიკასოს ბევრი ნამუშევარი აქვს დახატული ფლომასტერით; შესაძლოა ლუი არაგონის შეკვეთაც ამ ტექნიკით შეასრულა.
- (გ) რადგან ფლომასტერი 1951 წელს იშვიათობას წარმოადგენდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პიკასოს გრაფიკული ნახატი ამ ტექნიკით შეესრულებინა.
- (დ) რადგან პიკასოს ფლომასტერით 1955 წლამდეც დაუხატავს, შეიძლება დავუშვათ, რომ „დონ-კიხოტი“ ამავე ტექნოლოგიით შეასრულა.

18. რას გულისხმობს მკვლევრის სიტყვები, რომლებიც ბოლო აბზაცშია ციტირებული?

ეს გრაფიკული ნამუშევარი:

- (ა) არ შეიძლება იყოს ასლი, რადგან მასში ჩანს პიკასოს ხატვის უშუალო, თავისთავადი ბუნება, რისი მიბაძვაც, მით უმეტეს, ამ ფორმატზე, თითქმის გამორიცხულია.
- (ბ) შეუძლებელია ასლი არ იყოს, რადგან აქ არ ჩანს პიკასოს ხატვის თავისუფალი ბუნება, განსაზღვრულ არეში ზუსტად შესრულებული ორიგინალისეული ხაზების წყობით.
- (გ) არ შეიძლება იყოს ასლი, რადგან მასში ჩანს პიკასოს ხატვის სპონტანური ხასიათი, განსაზღვრულ ფორმატზე კი ეს იოლად მისაღწევი უნდა ყოფილიყო.
- (დ) შეუძლებელია ასლი არ იყოს, რადგან აქ ჩანს პიკასოს ხატვის მანერის ზედმიწევნით ზუსტად მიბაძვის მცდელობა, ხაზების წყობის იმგვარივე თავისუფლება.

19. რატომ გააკეთა მკვლევარმა თბილისში აღმოჩენილი ნამუშევრის კომპიუტერული შავ-თეთრი ანაბეჭდი?

- (ა) თუ შავ-თეთრი ანაბეჭდი ზუსტად გაიმეორებდა ფრანგული გაზეთიდან ამობეჭდილ ვერსიას, მკვლევარი დარწმუნდებოდა, რომ თბილისში აღმოჩენილი ნახატი პიკასოს ნამუშევრის საუკეთესო ასლია.
- (ბ) თუ თბილისში აღმოჩენილი ნახატის კომპიუტერული შავ-თეთრი ანაბეჭდის ტონალობა ზუსტად არ გაიმეორებდა აფიშებისა და პოლიგრაფიული გამოცემების ვერსიის ტონალობას, მკვლევარი დარწმუნდებოდა, რომ მის წინ პიკასოს ორიგინალი იყო.
- (გ) თუ შავ-თეთრი ანაბეჭდი ზუსტად დაემთხვეოდა გაზეთიდან გავრცელებულ ვერსიას, რომელიც ორიგინალიდან გაკეთდა, მაშინ მკვლევარს კიდევ უფრო გაუმყარდებოდა აზრი, რომ თბილისში აღმოჩენილი მოლურჯო-მომწვანო ვერსია პიკასოს ხელით არის დახატული.
- (დ) თუ თბილისში აღმოჩენილი ნახატის კომპიუტერული ანაბეჭდის ზომა დაემთხვეოდა ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილი „დონ-კიხოტის“ ზომას, მკვლევარი დარწმუნდებოდა, რომ საყოველთაოდ ცნობილი შავ-თეთრი ვერსია გაზეთიდან გავრცელდა.

20. ქვემოთ მოცემულია განხილულ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე თვალსაზრისი. მათგან რომელი არ არის მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) ლუი არაგონის რედაქტორობით გამოცემულ ლიტერატურულ გაზეთში ფერადი ილუსტრაციები არ იბეჭდებოდა. შესაძლოა, სწორედ ამ სპეციფიკამ განსაზღვრა გავრცელებული ვერსიისა და ორიგინალის ტონალობათა სხვაობა.
- (ბ) მას შემდეგ, რაც ორიგინალი დაიკარგა, გავრცელებულ ასლებს მას ვერ შეადარებდნენ და ამიტომ ამ ასლების ტონალობამ ბევრს აფიქრებინა, რომ ორიგინალი ან ტუშით იყო შესრულებული, ან – ნახშირით.
- (გ) პიკასოს „დონ-კიხოტი“ მწვანე და ლურჯი ფლომასტერებით არის შესრულებული და ამავე ტექნოლოგიით წლების წინ მისი რეპროდუცირება სრულიად წარმოუდგენელი იყო.
- (დ) რამდენიმე არგუმენტი არსებობს თბილისში აღმოჩენილი ნახატის ორიგინალობის დასამტკიცებლად, თუმცა, ეს პოზიცია ჯერ არ არის საყოველთაოდ აღიარებული.

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

21. გეგმავს : დაგეგმილი

- (ა) ზომავს : ზუსტი
- (ბ) იცავს : ჭეშმარიტი
- (გ) კინძავს : გაბნეული
- (დ) უვლის : მზრუნველი
- (ე) ასაიდუმლოებს : დაფარული

22. თვალი : გუგა

- (ა) ხრტილი : ფარფლი
- (ბ) ძარღვი : კაპილარი
- (გ) უჯრედი : ბირთვი
- (დ) კუნთი : მყესი
- (ე) აპკი : კანი

23. ინსცენირება : გარდასახვით

- (ა) ოპერაცია : დიაგნოზით
- (ბ) ინაუგურაცია : ნდობით
- (გ) დეპორტაცია : იძულებით
- (დ) ფალსიფიკაცია : შეცდომით
- (ე) დიფერენცია : დაჯგუფებით

24. ვულკანი : ლავა

- (ა) ნამქერი : ქარი
- (ბ) კოცონი : კვამლი
- (გ) ნალექი : მეწყერი
- (დ) უდაბნო : გვალვა
- (ე) ცუნამი : სანაპირო

25. წინდაწინ : კვალდაკვალ

- (ა) მყის : უეცრად
- (ბ) ძლივს : თითქმის
- (გ) უფრო : თანდათან
- (დ) მანამდე : ამიერიდან
- (ე) ხშირად : მრავალგზის

26. მესვეური : წარმართავს

- (ა) ადვოკატი : პასუხს აგებს
- (ბ) მეცენატი : მფარველობს
- (გ) ქომაგი : რჩევას აძლევს
- (დ) მეურვე : ასწავლის
- (ე) მოკავშირე : იცავს

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

27. ჩვენ რომ დედამიწაზე კი არა, ვთქვათ, პლანეტა ვენერაზე გვეცხოვრა, რომლის მძლავრი ატმოსფერო ----- მზერისთვის, სამყაროს უდიდესი ნაწილი ჩვენთვის ----- იქნებოდა, ----- ციურ მნათობებს და მათს მოძრაობას. ----- ბუნების უმთავრეს კანონთა აღმოჩენა, მაგალითად, მსოფლიო მიზიდულობის კანონისა, მრავალი ----- .

- (ა) სრულიად გაუმჭვირვალეა / ადვილად შესაცნობი / ველარ დავინახავდით / მიუხედავად ამისა, / წლით უფრო ადრე იქნებოდა შესაძლებელი
- (ბ) სავსებით გამჭვირვალეა / ნაკლებად უცნობი / თავისუფლად დავაკვირდებოდით / მიუხედავად ამისა, / წლით უფრო ადრე იქნებოდა შესაძლებელი
- (გ) სავსებით გამჭვირვალეა / ადვილად შესაცნობი / კარგად დავაკვირდებოდით / ამიტომ / ასწლეულით გადაიდებოდა
- (დ) სრულიად გაუმჭვირვალეა / უცნობი / ველარ დავინახავდით / ამიტომ / ასწლეულით გადაიდებოდა

28. იმ კულტურებში, სადაც ბავშვებს ნაკლები ფიზიკური სტიმულაცია აქვთ, ისინი სიარულს შედარებით გვიან იწყებენ. ----- , ყველა ჯანმრთელი ახალშობილისთვის გადაადგილების უნარის განვითარების საფეხურების თანმიმდევრობა ----- . მაგალითად, ამერიკელი ინდიელები ბავშვებს ზურგზე მოსაკიდებელი მჭიდროდ შეკრული არტახებით ატარებენ, რაც აფერხებს სიარულის სწავლას, ----- ბავშვი გათავისუფლდება არტახებისგან, იგი ლოკომოციის განვითარების ----- .

- (ა) თუმცა / ერთნაირია / მაგრამ როგორც კი / ზუსტად იმავე საფეხურებს გაივლის
- (ბ) შესაბამისად / სხვადასხვაა / თუმცა, როგორც კი / ზოგიერთ საფეხურს გამოტოვებს
- (გ) მიუხედავად ამისა / სხვადასხვაა / ამიტომ, როდესაც / ზოგიერთ საფეხურს გამოტოვებს
- (დ) აქედან გამომდინარე / ერთნაირი როდია / და როდესაც / ზუსტად იმავე საფეხურებს გაივლის

29. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ადვილი და მარტივი: თუკი რაღაც წესი, ----- , ოდესღაც დამკვიდრდა და ტრადიციასა და რუტინაში მყარად გაიდგა ფესვი, მის მიხედვით ქცევა ----- ; ხოლო იმის აღმოჩენა, რაც ----- , შემდეგ კი ამ აღმოჩენის შესაბამისად მოქმედება, ----- .

- (ა) თუნდაც ხელოვნური და რთული / ადვილია / მარტივი და სადაა / უაღრესად ძნელია
- (ბ) მართლაც მარტივი და სადა / საკმაოდ ადვილია / ხელოვნური და რთულია / ასევე ძნელია
- (გ) თუნდაც მარტივი და სადა / მართლაც ძნელია / ხელოვნური და რთულია / ადვილი და მარტივია
- (დ) მართლაც ხელოვნური და რთული / ძნელია / მარტივი და სადაა / ასევე ძალიან მარტივი და ადვილია

30. უსაფრთხოებისკენ სწრაფვის მნიშვნელობის ----- . ეს სწრაფვა ----- გვხვდება ბუნებაში, მას ----- პატარა ბავშვები. საფრთხისაგან მუდმივად მალვა საბოლოო ჯამში ----- . თანაც, სიცოცხლე ხომ მხოლოდ მაშინ არის სიცოცხლე, თუ ის სარისკო თავგადასავალია!

- (ა) დაკნინება სერიოზული შეცდომაა / არ / განიცდიან მხოლოდ / სულაც არ არის უსაფრთხო
- (ბ) გაზვიადება დიდწილად ცრურწმენაა / არ / არ განიცდიან / სულაც არ არის უსაფრთხო
- (გ) დაკნინება სერიოზული შეცდომაა / ყველგან / არ განიცდიან მხოლოდ / უსაფრთხოების ერთადერთი გარანტიაა
- (დ) გაზვიადება დიდწილად ცრურწმენაა / ყველგან / არ განიცდიან მხოლოდ / უსაფრთხოების ერთადერთი გარანტიაა

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

31. სხვადასხვა სახეობის ცხოველები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად და წარმატებით სწავლობენ ადამიანთა მიერ საგნებზე მითითების შესტის გაგებას და გამოყენებას. ამ მხრივ სპილო ყველა სხვა სახეობაზე უფრო „ნიჭიერია“. ექსპერიმენტების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ სპილოებს, სხვა ცხოველთაგან განსხვავებით, ადამიანის მიერ ხელით მითითების გაგება წინასწარი წვრთნის გარეშე შეუძლიათ.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება განამტკიცებს ყველაზე მეტად აღნიშნულ ვარაუდს?

- (ა) სხვადასხვა სახეობის ცხოველებში მითითების შესტის გაგების უნარის საკვლევად ექსპერიმენტები ჩატარდა როგორც მოშინაურებულ, ისე ნაკრძალებსა და ველურ ბუნებაში მცხოვრებ ინდივიდებზე.
- (ბ) აღნიშნული ვარაუდის ავტორებმა ექსპერიმენტები ჩატარეს მოშინაურებულ სპილოებზე, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ტურისტების ტრანსპორტირებისთვის იყენებს.
- (გ) მითითების შესტის გაგების უნარის საკვლევად სხვადასხვა სახეობის ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ზოგიერთი ცხოველი ამ შესტის გაგებას თვითონ ექსპერიმენტის მსვლელობისას სწავლობს.
- (დ) სპილოებში მითითების შესტის გაგების უნარის საკვლევად ექსპერიმენტები ჩატარდა მხოლოდ ზრდასრულ, ასაკოვან ინდივიდებზე.
- (ე) ექსპერიმენტების შედეგად გამოვლინდა, რომ სპილოებს ზოგიერთ სხვა ცხოველზე უფრო მეტად უჭირთ ადამიანის მიერ მზერით, ხელის გამოყენების გარეშე, მითითების გაგება.

32. მოცემულია ორი დებულება:

- არც ერთი დიდი ქალაქი არ გამოირჩევა სისუფთავით.
- ზოგიერთ დიდ ქალაქში ცხოვრების ხარჯები ძალიან მაღალია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ ორი დებულებიდან?

- (ა) ზოგიერთ გამორჩეულად სუფთა ქალაქში ცხოვრების ხარჯები არ არის მაღალი.
- (ბ) ზოგიერთ გამორჩეულად სუფთა ქალაქში ცხოვრების ხარჯები მაღალია.
- (გ) ზოგიერთი ქალაქი, რომელშიც ცხოვრების ხარჯები ძალიან მაღალია, სისუფთავით არ გამოირჩევა.
- (დ) ზოგიერთი დიდი ქალაქი სისუფთავით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ, მათში ცხოვრების ხარჯები მაღალი არ არის.
- (ე) ზოგიერთი ქალაქი სისუფთავით გამოირჩევა და მასში ცხოვრების ხარჯები ძალიან მაღალია, მაგრამ ასეთთა შორის დიდ ქალაქებს ვერ შეხვდებით.

33. თეამ საახალწლოდ სხვადასხვა ფერის – მწვანე, ლურჯი, წითელი და ყვითელი – ყუთით 4 საჩუქარი მიიღო. ოთხივე საჩუქარს სხვადასხვა წონა და მოცულობა აქვს. მოცემულია შემდეგი ცნობები ყუთების შესახებ:

- მწვანე ყუთი არც წონით და არც მოცულობით არ არის ბოლო ადგილზე ამ ოთხიდან.
- წითელი ყუთი ყვითელ ყუთზე მძიმეც არის და მოცულობითაც აღემატება მას.
- ლურჯ ყუთს დანარჩენ სამზე უფრო მეტი აქვს მოცულობა ან წონა – ერთ-ერთი მაინც.
- ყვითელი ყუთი ყუთებს შორის მეორე ადგილზეა მოცულობით ან წონით – ერთ-ერთით მაინც.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

მწვანე ყუთი:

- (ა) წონითაც და მოცულობითაც ჩამორჩება წითელს.
- (ბ) მხოლოდ ერთ-ერთი პარამეტრით ჩამორჩება ლურჯს.
- (გ) მხოლოდ ყვითელ ყუთს უსწრებს რომელიმე პარამეტრით.
- (დ) წონითაც და მოცულობითაც ერთსა და იმავე ადგილზეა ოთხს შორის.
- (ე) ოთხ ყუთს შორის სხვადასხვა ადგილზეა თავისი წონისა და მოცულობის მიხედვით.

34. დათო, ნათია, ქეთი და გიორგი სწავლობენ სხვადასხვა აღმოსავლურ ენას: ჩინურს, იაპონურს, კორეულსა და არაბულს. ამასთან, თითოეული მათგანი მხოლოდ ერთ ენას სწავლობს. ცნობილია, რომ ქვემოთ მოცემული ოთხი მტკიცებიდან მხოლოდ ერთია მართალი.

- დათო სწავლობს არაბულს.
- ქეთი არ სწავლობს ჩინურს.
- ნათია არ სწავლობს არაბულს.
- გიორგი არ სწავლობს არაბულს.

რომელ ენას სწავლობს ქეთი?

- (ა) ჩინურს
- (ბ) არაბულს
- (გ) კორეულს
- (დ) იაპონურს
- (ე) მოცემული ინფორმაცია საკმარისი არ არის ამის დასადგენად

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ცხოველებს შორის დელფინები გამოირჩევიან ყველაზე ხანგრძლივი სოციალური მეხსიერებით. თავიანთ სოციალურ კავშირებში რომ არ დაიბნენ, ისინი იყენებენ სახელებს – ერთგვარ ხმოვან სიგნალებს, ე. წ. სტვენა-ავტოგრაფებს, რომლებიც ყოველი ინდივიდისთვის უნიკალურია. როცა სხვებს მიმართავს, დელფინი ჯერ თავს „წარუდგენს“ მათ – დაუსტვენს თავის „სახელს“ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს „საუბარს“. თავის მხრივ, სხვა დელფინები, როცა გადაწყვიტენ, „დაელაპარაკონ“ მეგობარს, მას „სახელით“ მიმართავენ, რისთვისაც ბაძავენ მისთვის დამახასიათებელ სტვენას.

დელფინები ჯგუფურად ცხოვრობენ, თუმცა, ყოველ მათგანს შეუძლია, წავიდეს „მეზობლებთან“, ცოტა ხნით იცხოვროს მათთან, შემდეგ კი ისევ დაუბრუნდეს თავის თანაგუნდელებს. ამგვარი სოციალური ორგანიზაციის პირობებში დელფინებისთვის მნიშვნელოვანია, იცოდნენ, ვინ არის მათთან მოსული – უცნობი თუ მოგზაურობიდან დაბრუნებული ძველი მეგობარი. „სახელის“ ცოდნისა და მისი დამახსოვრების გარეშე ამის გაგება ძნელია.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის მკვლევრებმა, ჯეისონ ბრუკმა და მისმა კოლეგებმა, თავიანთი ექსპერიმენტისთვის გამოიყენეს ბიოსადგურებსა და ზოოპარკებში სხვადასხვა დროს მცხოვრები დელფინების ხმების აუდიოჩანაწერები. მკვლევრები თავადაც იწერდნენ სხვადასხვა ასაკის როგორც მდედრი, ისე მამრი დელფინების ხმოვან სიგნალებს. ყოველი დელფინი, რომლის ხმებსაც იწერდნენ, დროდადრო გადაჰყავდათ ერთი ადგილიდან მეორეზე, და ამ გადაადგილებების ისტორიას ზუსტად აღნუსხავდნენ. იმ დელფინებს შორის, რომელთა ჩაწერა მოხერხდა, იყვნენ სულ პატარა – 4 თვის, და საკმაოდ ხანდაზმული – 47 წლის ინდივიდები.

მკვლევრებმა ეს აუდიოჩანაწერები მოასმენინეს სხვა დელფინებს. ხმები, რომლებსაც ექსპერიმენტში მონაწილე დელფინები ისმენდნენ, ეკუთვნოდა როგორც მათთვის ნაცნობ, ისე უცნობ ინდივიდებს. ნაცნობი დელფინებიდან ზოგი იყო ისეთი, რომელიც მათ სულ რამდენიმე თვე არ ჰყავდათ ნანახი, ზოგი კი – ცხრამეტი ან ოცი წლის განმავლობაში. დელფინები არ რეაგირებდნენ მათთვის უცნობ ხმაზე, თუნდაც ის მათივე ასაკისა და სქესის დელფინის ყოფილიყო. მაგრამ თუ ხმის პატრონი ოდნავ მაინც იყო მათთვის ნაცნობი, დელფინები უმაღვე პასუხობდნენ მას, უახლოვდებოდნენ ხმის გამომცემ დინამიკს და ცდილობდნენ მასთან „გამოლაპარაკებას“. ერთხელ დედა დელფინმა შვილიც კი მიიყვანა თავისი ძველი მეგობრის ხმის მოსასმენად.

გაირკვა, რომ დელფინებს ძველი მეგობრების სახელები შეიძლება ახსოვდეთ მრავალი წლის განმავლობაში. მაგალითად, ორმა მდედრმა დელფინმა ხმით იცნო ერთმანეთი, მიუხედავად იმისა, რომ მათი დაშორებიდან 20 წელზე მეტი იყო გასული. დელფინებისთვის ხმის დამახსოვრება ყველაზე მოსახერხებელი გზაა სოციალური ურთიერთობების შესანარჩუნებლად: დელფინების სტვენა-ავტოგრაფი არ იცვლება დაახლოებით წლინახევრის ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე. მაშინაც კი, თუ დელფინი გარეგნულად შეიცვლება, მოიმატებს ზომებში, კანზე ნაიარევები ან ლაქები გაუჩნდება, თანაგუნდელები მას მაინც იცნობენ ხმით.

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ დელფინების ხანგრძლივი სოციალური მეხსიერება გამოიხატება არა მარტო საკუთარი თანაგუნდელების სახასიათო ხმების, არამედ ძველ ნაცნობებთან ურთიერთობის ხასიათის დამახსოვრებაშიც. მაგალითად, როდესაც ორ მამრ დელფინს მოასმენინეს ოდესღაც იქ მცხოვრები ორი დომინანტური მამრი დელფინის ხმა, მათ ქცევას სიფრთხილე და გარკვეული შეშფოთება დაეტყო, თითქოსდა ისინი „უფროსისგან დატუქსვას“ ელოდნენ.

35. სიტყვა „ავტოგრაფი“ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც ადამიანის ხელმოწერა, მის მიერ საკუთარი ხელით რაიმეზე გაკეთებული წარწერა. რა მიზნითაა გამოყენებული ტექსტში ეს სიტყვა?

იმის მისანიშნებლად, რომ:

- (ა) დელფინები, ადამიანების მსგავსად, სოციალური არსებები არიან და სტვენა-სახელებს იყენებენ.
- (ბ) დელფინების სტვენა-ავტოგრაფები ერთგვარი წარწერების სახით არსებობს მათი თანაგუნდელების მეხსიერებაში.
- (გ) დელფინები მხოლოდ სახელებით არჩევენ ერთმანეთისგან ნაცნობ და უცნობ ინდივიდებს.
- (დ) ყოველი სტვენა-ავტოგრაფი მხოლოდ მისი მფლობელი დელფინისთვისაა დამახასიათებელი.

36. II აბზაცის მიხედვით, დელფინი უსტვენს თავის სახელს, რათა:

- (ა) შეახსენოს სხვა დელფინებს თავისი სახელი.
- (ბ) დაემორჩილოს გუნდში მიღებულ წესებს.
- (გ) გააგებინოს თანაგუნდელებს, თუ ვინ არის.
- (დ) ამცნოს სხვა გუნდის წევრებს, რომ სურს, გახდეს მათი თანაგუნდელი.

37. რა იყო ის ძირითადი საკითხი, რომლის გარკვევას შეეცადნენ მკვლევრები თავიანთი ექსპერიმენტის მეშვეობით?

- (ა) რატომ არ რეაგირებდნენ დელფინები უცნობ ხმოვან სიგნალებზე, თუნდაც ის მათივე ასაკისა და სქესის დელფინისა ყოფილიყო.
- (ბ) როგორ მოქმედებს ერთ ზოობარკში თუ ბიოსადგურში ცხოვრების ხანგრძლივობა ამა თუ იმ დელფინის სტვენის ამოცნობის სისწრაფეზე.
- (გ) რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება ახსოვდეთ სხვადასხვა ასაკისა თუ სქესის დელფინებს თავიანთი ნაცნობი დელფინების „სტვენა-სახელები“.
- (დ) რამდენი თვე ან წელია საჭირო, რომ ამა თუ იმ ასაკის ან სქესის დელფინმა დაიმახსოვროს თავისი თანაგუნდელის „სტვენა-სახელი“.

38. ბოლო აბზაცში მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, რა დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი დელფინების გუნდში ურთიერთობის ხასიათის შესახებ?

- (ა) დელფინების გუნდის წევრები განსხვავდებიან თავიანთი სოციალური სტატუსით.
- (ბ) დელფინებისთვის დამახასიათებელია დასჯა-დაშინებაზე დამყარებული ურთიერთობა.
- (გ) დელფინები ყოფილი თანაგუნდელების მიმართ იჩენენ სიფრთხილესა და მორჩილებას.
- (დ) დელფინებს შორის არსებული კონფლიქტი მრავალი წლის განმავლობაში ინარჩუნებს სიმწვავეს.

39. ინგლისელმა მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს: ისინი ვიდეოფირზე იღებდნენ რამდენიმე ცხენს. მათი ჯოგის დანარჩენი წევრები გვერდით ისე მიდიოდნენ, რომ ამ ცხენების მხედველობის ველში ვერ ხვდებოდნენ. პარალელურად ექსპერიმენტში მონაწილე ცხენებს ასმენინებდნენ გვერდით მიმავალი ან სულ სხვა, მათთვის უცნობი ცხენის ჭიხვინის აუდიოჩანაწერს. თუ მოსმენილი ჭიხვინი გვერდით მიმავალ ცხენს ეკუთვნოდა, ექსპერიმენტში მონაწილე ცხოველი თავის საქმეს არ წყდებოდა, ხოლო თუ ჭიხვინი მისთვის უცნობ ცხენს ეკუთვნოდა, ის მყისვე შემობრუნდებოდა, თითქოსდა ამბობდა: „ეს ხომ შენ არ იყავი“.

